ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №67

2011 წლის 17 ივნისი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილებები „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების გასასხვისებელი მიწის ნაკვეთების ნუსხის დამტკიცების შესახებ” 2010 წლის 12 ივლისის №61 განკარგულებაში თანახმად დანართისა.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დამტკიცებული თანდართული ნუსხის შესაბამისად მისი შემდგომი განკარგვის მიზნით, იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა

№	ადგილმდებარეობა	მ^2
1	ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №554-დან №-576-მდე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №20.42.01.170)	21041
2	ქობულეთი, დაბა ჩაქვი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №20.48.02.068)	2501